**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორვა კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში საფილოქსერო კომიტეტს კრებები ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა საშუალება და ღონე იღონონ ჩვენს მხარეში გავრცელებულის ფილოქსერის წინააღმდეგ.

ამ კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად მთავრობის მიერ ქალაქ ადესიდგან გამოგზავნილნი იყვნენ ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორები ბბ-ნნი კოვალევსკი და მელიქიშვილი.

ამათ ჩამოსვლით ისარგებლა ჩვენმა ქალაქის გამგეობამ: ბ-ნმა იზმაილოვმა წერილითა სთხოვა ქიმიკოსს ბ-ნ მელიქიშვილს თავისი აზრი წარმოეთქვა შესახებ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის დაარსებისა. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რო ქალაქის საქიმიო ლაბორატორია უნდოდათ ფარმაცევტთა საზოგადოებას და კავკასიის საექიმო მართველობას აეღოთ, გამგეობამ-კი განიზრახა ეს ლაბორატორია თვით ქალაქს ჰქონდა ხელში.

ბ-ნმა მელიქიშვილმა გულ-დადებით გაარჩია ეს საგანი და გუშინ პასუხი მისცა ბ-ნ იზმაილოვს. პროფესორი მელიქიშვილი იმ აზრისაა, რომ საქიმიო ლაბორატორიის ზედამხედველი უთუოდ კარგად განვითარებული უნდა იყოს ქიმიასა და საქიმიო საგნებში. ფარმაცევტთა საზოგადოებას ძნელად რომ ჰყავდეს ამისთანა კაცი და საექიმო მართველობა-კი ამ საგანს ისე გულ-დადებით ვერ მოჰკიდებს ხელსაო. ამისათვის ბ-ნმა მელიქიშვილმა ურჩია, საქიმიო ლაბორატორია თვით ქალაქმა აწარმოვოს უმაღლეს სასწავლებელში ქიმიაში სწავლა-დამთავრებულ კაცის ზედამხედველობითაო.

ქალაქს ხარჯი ნაანგარიშევი ჰქონდა 500 თუმანზე მეტი. ბ-ნმა მელიქიშვილმა-კი სთქვა, რომ ის იარაღები, რომელიც მოხსენებულია გამგეობის პროექტში, ძვირი და ძველის სისტემისაა, ეხლა უფრო ახლებიც არის და უფრო იაფიცაო. ამ გვარად მელიქიშვილმა ხარჯი შეუმცირა ქალაქს და სულ 270 თუმანი იანგარიშა.

როგორც შევიტყეთ, ქალაქის გამგეობა სრულიად დასთანხმებია პროფესორ მელიქიშვილის აზრს.

*** მეტად საინტერესო ცნობებია მოყვანილი ტფილისის საქალაქო სამკურნალოს გამგეს, ექიმის ავთანდილოვის, წარსულის 1890 წ. ანგარიშში.

ეს სამკურნალო დაარსებულია ტფილისის მოქალაქეთა მიერ გარედგან მოსიარულე ავადმყოფთათვის 1867 წლის 13 ოქტომბერს, 1866 წლის 4 აპრილის სახსოვრად. ავადმყოფები იხდიან ექვს შაურს ყოველ მისვლაზე, წამლებს-კი თავის ხარჯით ჰყიდულობენ; ღარიბ ავადმყოფთა დარიგება და წამლობა-კი ამ სამკურნალოში მუქთია.

სამკურნალოს ორი განყოფილებაც სხვა აქვს: ერთი ხარფუხში, მეორე—ავლაბარში.

წარსულის წლის განმავლობაში სამკურნალოში და მის განყოფილებებში მისულა:

| | ავადმყოფი | რამდენჯერ მოსულა | რამდენჯერ გადუხდიათ ფული | რამდენჯერ უფასოდ |
|---|---|---|---|---|
| სამკურნ. | 8.183 | 28.607 | 5.865 | 22.742 |
| ხარფუხის გან. | 1.260 | 3.762 | 430 | 3.332 |
| ავლაბარში | 2.016 | 5.525 | 498 | 5.027 |
| ჯამი . . | 11. 459 | 37.894 | 6.793 | 31.101 |

წლოვანობით ავადმყოფები ასე განიყოფებიან თურმე:

| | ვაჟი | ქალი |
|---|---|---|
| ერთ წლამდე . . . | 380 | 221 |
| 1—5-მდე . . . . | 801 | 623 |
| 5—15 მდე . . . . | 1158 | 782 |
| 15—25-მდე. . . . | 1801 | 953 |
| 25—40-მდე. . . . | 1487 | 1372 |
| 40—წელზე მეტი . | 828 | 1060 |

აი ეროვნებით როგორ განაწილდებიან:

| | |
|---|---|
| მართლ-მადიდებელნი. | 5,062 |
| სომეხნი . . . . | 5 238 |
| კათოლიკე. . . . | 225 |
| ლუტერის რჯულისა. | 66 |
| ებრაელი . . . . | 387 |
| მაჰმადიანნი. . . . | 439 |
| მალაკანი . . . . | 31 |
| დუხაბორი. . . . | 1 |

ქალაქის ახლო მდებარე სოფლებიდამ და საზოგადოდ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდამ სამკურნალოში და მის განყოფილებებში 1890 წ. ყოფილა 1031 კაცი.

წოდების კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ, ავადმყოფები ასე განაწილდებიან:

| | |
|---|---|
| აზნაური და მოხელე. . | 909 |
| სასულიერო წოდებისა . | 185 |
| ვაჭარი და მოქალაქე . | 779 |
| ჯარის კაცი. . . . | 698 |
| გლეხი და სხვ. . . . | 8.888 |

აი ვინ რა სენით ყოფილა ავად:

| | სიფილისისაგან | ვენერიულ-ავადმყოფობისაგან |
|---|---|---|
| მამა-კაცი | 153 | 190 |
| დედა-კაცი | 19 | 30 |
| ბავშვი | 6 | „ |

წლის განმავლობაში ახლად კიდევ გამხდარა ავად ვენერიულის ავადმყოფობით 27 მამაკაცი, 4 დედაკაცი და 2 ბავშვი, სულ 33.

ექვსის წლის ანგარიში რომ შევადაროთ, დავინახავთ:

| | 1885 | 1886 | 1887 | 1888 | 1889 | 1890 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყოფილა . . | 18365 | 17954 | 21114 | 22218 | 32395 | 37894 |
| ფული გადაუხდიათ. | 6.926 | 7.991 | 6.575 | 6.304 | 6.489 | 6.793 |

წარსულ წლის განმავლობაში ექვს შაურობით შემოსულია ქალაქის სამკურნალოს სულ 2037 მან. და 90 კაპ.; ქალაქის აფთიაქის იჯარადარს ბ-ნ ოტენს გაუცია უფასოდ წამალი 200 თუმნისა, ხოლო სამკურნალოდამ უსარგებლიათ უსასყიდლოთ, საავთიაქო ნიხრის კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ, 1200 თუმნის ღირებული წამალი, თვით სამკურნალოს-კი დაჯდომია 190 თუმანი.

სამკურნალოს წინადადებით ტფილისის აბანოების იჯარადარმა იგითხანოვმა წარსულის წლის განმავლობაში მუქთად დაუთმო აბანო ყველა იმ ავადმყოფთ, რომელთაც სამკურნალო ჰგზავნიდა.

საყურადღებოა აგრეთვე ნუსხა იმისა, თუ რომელის სენით რამდენი ავადმყოფი ყოფილა საწამლებლად 1890 წელს ამ სამკურნალოში. დავასახელებთ მხოლოდ იმ სენს, რომელიც უფრო ხშირი ყოფილა, მაგ.,

| | |
|---|---|
| ციებ-ცხელება. . . . | 1856 |
| სასუნთქავის ორგანოების ავადმყოფობა . . | 841 |
| კუჭ-ნაწლევებისა . . | 790 |
| კუჭისა . . . . . . | 656 |
| თვალის ტკივილისა. . | 698 |
| დედათა ავადმყოფობა . | 419 |
| სიფილისი . . , - | 178 |
| ვენერიული ავადმყოფობა . . . . . | 220 |
| ფილტვების ანთება . . | 220 |
| ნევრალგია . . . . | 368 |
| მუწუკი . . . . . | 516 |
| დამუწუკებული სახადი . | 315 |
| სალსრების ქარები . . | 335 |
| ძვლის მჭამელა . . . | 264 |
| თიაღორა და ყბა-ყურა. | 178 |
| ნატკენობა . . . . | 103 |

## ფელეტონი

### მოკლე მიმოხილვა ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების მდგომარეობისა

(შემდეგ. იხ. „ივერია“ № 79)

### VII

თუმცა ქართული დაბადება დაიბეჭდა მეორედ, მაგრამ მაინც მისის გავრცელების იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან ჯერ ძვირად არის დაფასებული, სახელდობრ 6 მანეთად, და მერმე ძნელი სახმარებელია სიდიდის გამო. ორ დიდ ნაწილად არის დაბეჭდილი. გარდა ამისა ჩვენი საზოგადოება და განსაკუთრებით ახალი თაობა ისე არის აღზრდილი და განსწავლული, რომ ქართულ საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, არამც თუ მოთხოვნილებად არა აქვს გადაქცეული, არამედ მათი არსებობაც არ უწყის. ეს გარემოება ნათლად გვიმტკიცებს, თუ რა ნაირად დაიწია ძირს ჩვენმა საზოგადოებამ ამ მხრით მეთვრამეტე საუკუნესთან შედარებით. ჩვენი, არა თუ სამოქალაქო, არამედ სასულიერო სასწავლებლები რომ დაიაროთ, თითოეულს მოწაფის ხელში ვერა ჰნახავთ არამც თუ დაბადებას, არამედ ახალს აღთქმასაც. ამის გამო მოწაფეს, მომავალს მოძღვარს და მქადაგებელს, გამოურკვეველი წარმოდგენა აქვს ქართულის დაბადებისა და სახარებისა, მათის ენის ვითარებისა. განა დრო არ არის, რომ თითოეულს სასულიერო სასწავლებლის თუ არა, სემინარიის მოწაფეს მაინც, ეძლეოდეს თითო წიგნი ქართულის სახარებისა და დაბადებისა, რომ გარეგანის შეხედულობით მაინც იცნობდეს იმ წიგნს, რომლის შინაარსის გადამცემი, რომლის მქადაგებელი უნდა იყოს შემდეგ, როგორც ამას მოითხოვს მისი პირდაპირი მოვალეობა?

ამ მხრივ ერთი საყურადღებო განკარგულება მოახდინა „საქართველოს ეპარქიის სამასწავლო საბჭომ“, რომელმაც ექსარხოსის ნება-დართვით, დაურიგა მუქთად რუსული დაბადება ცხრა კაცს, რომელთა შორის ერთი არის დეკანოზი, ერთი მზრუნველი სამრევლო სკოლისა და შვიდი მასწავლებელი ქალი (Вѣст. грузин. Экзархата, № 1). კარგი იქმნება, თუ აღნიშნული დაწესებულება, მსგავსად ამისა, დაურიგებს, ვისაც ჯერ არს, ქართულს დაბადებას ანუ ახალ აღთქმას. თუ ჩუქებით ანუ მუქთად მიცემით არა, სადა აქვს შეძლება ღარიბს სემინარიელს, რომ თავის ჯიბიდამ ამოიღოს ექვსი მანეთი „დაბადების“ სასყიდლად, თუ გინდ დიდი სურვილიც ჰქონდეს ამისი?

საკუთარ ის ყურადღების ღირსია აღნიშნული ჩვენ მიერ სიძვირე საეკლესიო წიგნებისა, განსაკუთრებით, დაბადებისა. ეს საქმე ახლა მით უფრო საყურადღებოა, რომ 10 თებერვალს 1885 წ. „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება კავკასიაში“ გადეიდა უწმ. სინოდისა და ადგილობრივ სასულიერო მთავრობის უწყებაში, რომელზედაც არის ახლა დამოკიდებული განხორციელება იმ განზრახვისა, რომელსაც ემსახურება აღნიშნული საზოგადოება, სახელდობრ, აღდგენა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისა კავკასიაში.

რა წარმატება დაეტყო ამ ხუთის წლის განმავლობაში ჩვენს საღმრთო და საეკლესიო წიგნების ბეჭდვისა, გავრცელებისა და გაიაფების საქმეს?

ვიდრე ამის პასუხს ვიტყოდეთ, საჭიროდ ვრაცხთ ვუამბოთ მკითხველს, თუ ვინ იყვნენ თავდა-პირველნი დამაარსებელნი აღნიშნულ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა და მისი მოკლე ისტორია 1746—1885 წლამდე.

მეთვრამეტე საუკუნეში იყო გამოჩენილი მქადაგებელი ქრისტეს სარწმუნოებისა კავკასიის მთიელთა შორის მღვდელ-მონაზონი იოანე, ტომით ქართველი, ერის-კაცობაში იოსებ, ძე გიორგი საავაძისა. შემდეგ მიიღო ამან ეპისკოპოსობა მანგლისისა და ამის გამო იწოდებოდა „მანგლელად“. ოსმალთა გაძლიერების დროს საქართველოში (1723—1735) ამან დაუტოვა სამშობლო ქვეყანა და გაემგზავრა ქრისტიანობის საქადაგებლად კავკასიის მთიელთა შორის. თავის დაუცხრომელის შრომით ააშენა ეკკლესიები დაღესტანს, ასტრახანს და ყიზლარს. როგორც სხვაგან ჩრდილოეთ კავკასიაში, ეგრეთვე დასახელებულ ქალაქებში მრავლად სცხოვრობდა იმ დროს სამშობლოდამ გადასახლებული ქართველობა. იოანე იღვწოდა, როგორც მთიულ ხალხთა გაქრისტიანებისთვის, უმეტესად კიდევ თავის თანამემამულეთათვის. ეს იოანე მანგლელი და იოსებ სამებელი შეჰხვდნენ ერთმანერთს მოსკოვში 1744 წელს და ამ დროდამ დაიწყო ორ ქართველ შორის ძმური მოქმედება დიდ-მნიშვნელოვან საქმისათვის. ამ ორ ქართველს დაებადა ფიქრი იმისთანა საზოგადოების დაარსებისა, რომელსაც უნდა ეზრუნა ქრისტიანობის აღგენისა და გავრცელებისათვის კავკასიის მთიულთა შორის. ამათგან შედგენილი მოსაზრება (პროექტი) სინოდმა შეიწყნარა 1746 წელს და ამავე დროიდამ დაწესებულ იქმნა ესრედ წოდებული ოსეთის კომისია ქრისტიანობის აღსადგენად კავკასიაში. ადგილ-სადგომად მისსიისა ამორჩეულ იქმნა ყიზლარი. მოთავედ ამ საქმეში იყვნენ რიგზედ ქართველები: იოანე მანგლელი, ქართველი ბერები: პახომი, გრიგოლ და პორფირი; შემდეგ რუსის ბერი ლებედევი. 1793 წელს კომისიის გამგებლად დაინიშნა ქართველი მთავარ-ეპისკოპოსი გაიოზი, თელავის სემინარიის რექტორად ნამყოფი 1782—1784 წლამდე. გაიოზი განაგებდა ამ საქმეს მოზდოკის ეპარქიის გაუქმებამდე 1793—1799 წ. და ადგილსაცხოვრებლადაც დანიშნული ჰქონდა მოზდოკი. კომისიის წევრის პახომის თხოვნით გაიხსნა აქვე სკოლა 1764 წ. ოსეთის კომისია განახლდა 1771 წ., ხოლო სკოლა გაუკეთესდა 1777 წელს. აქ ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: ქართულს და რუსულს,

| | |
|---|---|
| ჰრილობა . . . . | 207 |
| ყვავილი აუცრიათ . . | 31 |

*** ამ თთვის 5 ტფილისში დაიკარგა რეალურ სასწავლებლის მოსწავლე, 15 წლის სანდრო ტერმიკირტიჩიანცი, რომელსაც ამ ჟამად პოლიცია დაეძებს და ჯერ ვერას გამხდარა. ეჭვი აქვთ, იქნება ტერმიკირტიჩიანცი მტკვარში ჩავარდაო.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ მამა-დავითის კლდეზე თავი მოიკლა საფერშლო სასწავლებლის შეგირდმა ალექსანდრე მიცკევიჩმაო. მიზეზი თავის მოკვლისა, როგორც ეხლა იმის უბის წიგნიდგან ამოჩნდა, უიმედო სიყვარული ყოფილა. მიცკევიჩი სულ 17 წლისა იყო.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიის მისის უმაღლესობის დიდის მთავრინა ოლღა თეოდორეს ასულის გარდაცვალების გამო, წლიური აქტი გადაიდო მაისის ნახევრამდე.

*** კავკასიის სამკურნალო წყალთა სეზონი პიატიგორსკში დაიწყება 1 მაისს, ესსენტუკში—15 მაისს, ჟელეზნოვოდსკში—20 მაისს, ხოლო კისლოვოდსკაში-კი—1 ივნისს. („Нов. Вр.“).

*** მოსკოვი: გამოვიდა მეორე ტომი „Древности Востосныя“-სა, რომელშიაც გიორგი წერეთლის წერილი „გელათის მონა ტერია“ დაბეჭდილი.

*** ტფილისში დაარსებულ ღამის გასათევ თავ-შესაფარს შემოსწირეს: გ. ბელოვისამ 10 მან., სამსახურიდამ გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ვინნერმა 50 მან., გ. ფ. გუნდუროვმა 25 მან., ბარ. ბ. 5 მან., ტერ-არუთინოვმა 6 მან. და ავჭალის ცხენის-რკინის გზის კომპანიერებმა 25 მან. სულ 126 მ. ამიანად შესდგა 1627 მ.

*** 10 აპრილს არტილერიის ქუჩაზე ედინეცისას მისმავე მოსამსახურემ სოფ. ბუგეულის მცხოვრებელმა ლუკა ლობილოძემ მოჰპარა 25 მან. ნივთეული. დამნაშავე იქვე შეიპყრეს.

*** 11 აპრილს ჩუღურეთში ეფიმი სმელოვსკისას ნაჯარის-კაცალმა კონსტანტინე სტანკევიჩმა მოჰპარა 20 მან. და ორ მანეთიანი ბალიში. სტანკევიჩი შეიპყრეს და ქურდობაშიაც გამოტყდა. ნაპარევი პატრონსვე დაუბრუნა.

*** ამავე დღეს ტფილისის მცხოვრებელი 60 წლის მელანია იმეშაშვილი ტკვარზე სარეცხსა ჰრეცხდა და უეცრად გარდაიცვალა.

*** 10 აპრილს რიყეზე მალაკანი იაგორ ვასილიევი თოკით თავს ირჩობდა, მაგრამ მალე შეუტყეს, ჩამოხსნეს და ცოლს გადასცეს მოუარეთ.

## მცირე შენიშვნა

ბ-ნი ა. ერიცოვი თავის წერილში „Католицизмъ въ Грузіи“ (იხ. „Нов. Обозр.“ № 2502) სხვათა შორის ამბობს: „გადმოსახლებული სომხები სცხოვრობდნენ უმეტესად ქალაქებში და მისდევდენ ვაჭრობასა და ხელობასაო. საქართველოს ძველ ქალაქებში: ტფილისში, ახალქალაქში, ახალციხეს, აწყურს, გორს, დუშეთს, თელავს, სიღნაღს, ოზურგეთს, მძორეთს, უფლის-ციხეს და სხ. სომხები შეადგენდენ მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს, ზოგან-კი თითქმის მარტო სომხები სცხოვრობდენ. ქართველებს არ უყვარდათ ქალაქებში ცხოვრება, ისინი უფრო სოფლად სცხოვრობდენო“.

სხვა ქალაქებისა და დაბების შესახებ არას ვიტყვი, ხოლო ოზურგეთის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი. საქართველოში, სადაც-კი წინად დასახლებულან სომხები, ყველგან არსებობენ დღესაც. თითქმის სუყველას დავიწყებია თავიანთი დედა-ენა, ზნე-ჩვეულება, თითქმის კიდევაც გადაგვარებულან-გაქართველებულან, მაგრამ თავიანთი რჯული, სარწმუნოება არ დაუკარგავთ.

ქართლ-კახეთში მრავალია ისეთი სოფლები და დაბა-ქალაქები, სადაც სომხები არაფრით არ გაირჩევიან ქართველებისაგან, გარდა სარწმუნოებისა; მაგალ., გორი, ტფილისი, თელავი, სიღნაღი, ქუთაისი, საჩხერე, ნაფარეული, ქისტაური, ველის-ციხე და სხვა-და სხვა. ამ მხრით ურიები და სომხები ერთ ტაფაში იწვიან. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ სომხებმა ამ უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში, რამდენისამე ღირსეულის მეთაურის წყალობით, ხელი მოჰკიდეს სომხურ ენას და მამულის სიყვარულს და დაუცხრომლად სცდილობენ თავიანთი ენა, ლიტერატურა და ისტორია შეისწავლონ, გაქართველებული სომხები ისევ გაასომხონ და ჩაუნერგონ გულში მამულის სიყვარული. ურიებს არ ემჩნევათ ეს მიმართულება...

მიუბრუნდეთ ახლა ოზურგეთს. არც ოზურგეთში და არც გურიაში ამ ჟამად სომხის ჭაჭანებაც არ არის, მხოლოდ ორიოდე მოხელეა მთავრობისა. როგორც გამიგია, არც წინად უნდა ყოფილიყვნენ იქ სომხები. სომხები-ვაჭრები მხოლოდ უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომიანობის დროს იყვნენ ოზურგეთში, ისიც ჯარს ჩამოჰყვნენ, ვითარცა იჯარადარნი. ომიანობის შემდეგ ისინი აღარ აზოგინეს იქ გურულებმა. ამის შემდეგაც განიზრახა ორიოდე სომეხმა სავაჭრო დუქნის გამართვა ოზურგეთში, დაიწყეს კიდეც ვაჭრობა, მაგრამ მეორე-მესამე დღესვე წავიდნენ იქიდამ. ურიებსაც ეს დღე ადგიათ გურულებისაგან. ვაჭარი ურია თუ მოდის გურიაში, მხოლოდ იარმუკობას მოდის თავის უვარგისის საქონლის გასასაღებლად; აიბარგება იარმუკობა თუ არა, ურიაც თან გაჰყვება.

დიახ, ვიმეორებ, გურიაში არც ურიაა და არც სომეხი. საზოგადოდ გურულებს არ უყვართ სომხები და ურიები, მაგრამ ათასობით არის ისეთი, რომ არც-კი იცის რას ნიშნავს სიტყვა „სომეხი“. ახლა ვიკითხოთ, რა იქნენ ის სომხები, რომლებიც, ბ-ნ ერიცოვის აზრით, ძველად დასახლდნენ უზურგეთში? თუ იყვნენ, რატო იმათი კვალი არა დარჩა-რა? საქართველოს სხვა კუთხეებში არც ხალხს და არც ქართველ მეფეებს თუ თავადებს ძალა არ დაუტანებიათ სომხებისათვის და იმათ რჯულს არ არ შეჰხებიან. ნუ თუ გურულებმა იმდენი გავლენა და ზედ-მოქმედება იქონიეს სომხებზე, რომ არა თუ გადაავარეს, გააგურულეს, არამედ სარწმუნოებაც გამოაცვლევინეს, გადაარჯულეს? არა მგონია. აქ სხვა რამ მიზეზი უნდა იყოს. ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან ბ-ნი ერიცოვი შეცდომაშია შესული ოზურგეთში სომხების დასახლების შესახებ, ან არადა გურიაში ძველად დასახლებულან სომხები, ხოლო გურულებს ვერ აუტანიათ იმათი მეზობლობა და ასე თუ ისე თავიდამ მოუშორებიათ. თუ პატივცემული ა. ერიცოვი ამ გარემოებას აგვიხსნის, დიდად დაგვავალებს. ფრიად დავალებულები ვიქნებით აგრეთვე, თუ აგვიხსნის, რისგან წარმოსდგა სახელწოდება: „გურია“ და „ოზურგეთი“.

გ. ბ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პროფესორმა სტებუტმა ამას წინად ლექცია წაიკითხა მოსკოვში სამეურნეო განათლების შესახებ და სხვათა შორის ისიც განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ქალებისათვისაც იყოს სამეურნეო სასწავლებელი დაარსებული, იმათაც შეეძლოთ მეურნეობის სწავლა და ამ საქმეში განვითარებაო.ბოლოს, ლექციის შემდეგ, ამავე საგნის შესახებ წერილიც დაჰბეჭდა გაზ. „Русскія Вѣдомости“-ში და ამ წერილში განსაკუთრებით უფრო იმას შეეხება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს დედათა სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმე.

ვინ უნდა იკისროს ეს საქმეო,—ჰკითხულობს ავტორი წერილისა: მთავრობამ, ერობამ, თუ თვით საზოგადოებამ? ჩვენის აზრით, საზოგადოების მოვალეობაა სათავე გამოაბას ამ საქმეს. საზოგადოებამ უნდა იკისროს, რადგან, რაკი საქმეს საძირკველს ჩაუყრის და დაანახვებს ყველას მის სარგებლობას, მაშინ მთავრობასაც და ერობასაც საბაბი მიეცემა მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში და უფრო განავითარონ, უფრო განაკარგონ.

დასაწყისად, სათავედ რა უნდა გამოაბას საზოგადოებამ ამ საქმეს? ჩვენის აზრით, უნდა დაარსონ „ქალების სამეურნეო განათლების დამხმარებელი საზოგადოება“ და, რაც შეიძლება, დიდ-ძალი თანამგრძნობელი მოუშოვოს.

კერძოდ ამ საზოგადოებას აზრად უნდა ჰქონდეს: 1) დაარსოს, მთავრობის ნება-დართვით, ქალებისათვის სამეურნეო სასწავლებლები სხვა-და-სხვა სახისა და აგრეთვე სამეურნეო ცოდნა გაავრცელოს დედათა შორის; 2) ყოველ-გვარი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს ქალებს, რომ სამეურნეო ცოდნის შეძენა შეეძლოთ, ესე იგი ქონებრივად.

თუ ქონებრივი და ზნეობრივი კეთილ-დღეობა ჩვენის სამშობლოსი იმაზედ არ არის დამოკიდებული, რომ განვითარდეს და განკარგდეს ეს მრეწველობის უმთავრესი შტო—მეურნეობა; თუ ყოველივე ის, რასაც ამბობენ და სწერენ მეურნეობის შესახებ, ლიტონი სიტყვები არ არის, ეჭვი არა გვაქვს, რომ ჩვენი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა: მთელი გონიერი რუსეთი ბანს მოგვცემს და ეცდება მართლა დაარსოს დედათა სამეურნეო სასწავლებელი.

შენს პირს შაქარი, ვეტყვით ბ-ნს სტებუტს, თუ მართლა იმისს აზრს ფრთები შეესხა და განხორციელება ეღირსა.

**

რუსეთში ბევრი გაზეთია, რომლისათვისაც ებრაელის დანახვა და ხსენება და ცხვირ-პირის ჩამოშვება, უკუნებოდ შექმნა ერთია. ზოგიერთს გაზეთს ისე სძულს ებრაელი, რომ ყოველს ხსენებაზედ სწორედ დორბლებსა ჰყრის და, თუ ახსენებს, ისიც უეჭველად ავად, ავს საქმეში; კარგი საქმე და ებრაელი ერთად ვერა და ვერ მოუთავსებია.

---

ძველისა და ახალის აღთქმის საღმთო ისტორიას, მოკლე კატეხიზმოს, საეკლესიო გალობას და ტიბიკონს.

16 ოქტომბერს 1799 წ. გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც გაუქმდა მოზდოკის ეპარქია და ამასთანავე მოიშალა ყოველივე გაიოზის მიერ დადგენილი დაწესებულება. ამას შემდეგ ქრისტიანობის გავრცელების საქმე კავკასიის მთიელთა შორის შესდგა თხუთმეტის წლის განმავლობაში, ვიდრე ეს საქმე არ მიენდო ტფილისში მცხოვრებთა და მოღვაწეთა ქართველთა ქრისტიანობის გავრცელებაში კავკასიის მთიელთა შორის. ახლად დაწესდა ოსეთის სასულიერო კომისია 1816 წელს, რომლის ხელმძღვანელად იყო დანიშნული მთავარ ეპისკოპოსი თელავისა და საქართველო-კავკასიისა დოსითეოსი. 1817 წელს, როდესაც დაინიშნა საქართველოს ეგზარხოსად რუსთაგანი თეოფილაკტე (რუსანოვი), ოსეთის კომისია გადავიდა საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორის უწყებაში.

საყურადღებო ჩვენთვის ცვლილება მოჰხდა ოსეთის კომისიაში 18 დეკემბერს 1818 წელს. დაარსების დრომდამდე ოსეთის კომისიისა ოსეთი იყო უპირველეს ადგილად მიჩნეული და ყოველი სიკეთე მისსიისა მხოლოდ ამ მხარეს ჰხვდებოდა. თუ გასცილდებოდა როგორმე სამისსიონერო მოქმედება ოსეთს, მაინც შორს არ მიდიოდა ოსეთის სამზღვრებიდამ. 18 დეკემბრის წესდებამ-კი ძირითადი ცვლილება მოახდინა ამ საქმეში. მისსიონერთა მოქმედების ადგილი გაფართოვდა, რადგან, ოსეთს გარდა, სამისსიონერო კომისიას თავის უწყებაში უნდა ჩაერიცხა ქართლ-კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია. თითოეულ ამ ეპარქიაში უნდა ყოფილიყო არა-ნაკლებ ორის ბერისა ქრისტიანობის გასავრცელებლად. ამ ახალმა განკარგულებამ ის სიკეთე მოიტანა: რომ ზაქათალის მაზრის სოფ. ვარ ა შენის მცხოვრებთ მიიღეს ქრისტიანობა 1819 წელს. ამ წესით მოქმედებდა ეს კომისია 1860 წლამდე, როდესაც დაწესდა „მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება კავკასიაში.“ ეს ახალი საზოგადოება თითქმის ისევე მოქმედებდა ოცდახუთი წელიწადი (1860—1885 წ.), როგორც ოდესმე (1746—1818) ოსეთის კომისია.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1860—1884 წელთა განმავლობაში შესამჩნევი ნაყოფი ვერ დაგვანახვა თავის მოქმედებისა შესახებ საღმრთო და საეკლესიო წიგნების გავრცელებისა და გაიაფებისა ქართულს ენაზედ. იქმნება ეს, სხვათა შორის, 1860 წლის წესდების ბრალიც იყოს, მაგრამ ჩვენ ახლა ამის გამოკვლევას ვერ შევუდგებით.

ამ გვარი იყო ქრისტიანობის და ქართულ საღმრთო და საეკლესიო წიგნების გავრცელების საქმე კავკასიაში 1885 წლამდე. ამ წელს-კი, როგორცა ვსთქვით, ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება კავკასიაში გადავიდა უწმ. სინოდისა და საქართველოს ეგზარხოსის უწყებაში. დაუდგა აღნიშნულ საზოგადოებას საუკეთესო ხანა მოქმედებისა, რადგან სულის საქმე მიენდო სასულიერო უწყებას, რომელსაც სრული უფლება აქვს მინიჭებული, რათა აიცილოს თავიდამ ყოველ-გვარი დაბრკოლება, რომელიც-კი გადელობება თავის სურვილის მისახწევად. ხოლო სურვილი ამ საზოგადოებისა, სხვათა შორის, მოითხოვს იმას, რომ „ჰთარგმნოს ადგილობრივ ენებზედ საღმრთო წერილი, საეკლესიო და სხვა საკითხავად სასარგებლო წიგნები; ჰბეჭდოს, როგორც აღნიშნული თარგმანნი, აგრეთვე საღმრთო და საეკლესიო წიგნები ქართულს ენაზედ“ (წესდების § 26, მუხლი ჯ).

ამისთანა განზრახვის აღსასრულებლად საზოგადოება, თანახმად თავისის წესდებისა, უნდა სცდილობდეს „გადასდოს საჭირო თანხა, რათა შეტანილი იქმნას, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, სემინარიაში შესასწავლ საგანთა შორის დამატებით სასწავლო საგანი იმ აზრით, რომ ახალგაზრდობამ მიიღოს შესაფერი განათლება და მომზადდეს საეკლესიო მსახურებისათვის“ (§ 38, მუხლი ჯ).

ესრეთი განკარგულება სწორედ ზეციერ მანანასავით მოევლინება ჩვენს უკან ჩამორჩომილს ბეჭდვის საქმეს და სასულიერო სასწავლებლებში მივიწყებულ ქართულს ენას. ორივე საგანს ახლა გზა გაეხსნა, აღდგომას უქადდის, რადგან დარწმუნებულნი უნდა ვ ყვნეთ, რომ ადგილობრივი სასულიერო მთავრობაც გულ-წრფელ მფარველობას გაუწევს ამ საქმეს და საჭირო დახმარებას არ მოაკლებს მის წარმატებას. აღნიშნულმა მთავრობამ მართლაც გააფართოვა თავის მოქმედების ასპარეზი უწინდელთან შედარებით. ახლა სასულიერო მთავრობას ჰყავს ორი მისსიონერი, ერთი აღმოსავლეთს, მეორე დასავლეთ-საქართველოში, რომელთა მოქმედება ჩვენგან განხილულ საქმესაც თუ არ დაეხმარება, არ დააბრკოლებს მაინც. იქნება ესეთი ნაყოფი შემდეგ გამოიღოს ამ განახლებულმა საზოგადოებამ, მაგრამ ჯერ ჯეროვნით-კი არაფერი ეტყობა ამ მხრით შესამჩნევი. ხუთის წლის განმავლობაში სასულიერო მთავრობის განკარგულებით და საფასით დაიბეჭდა მხოლოდ ერთი საპარაკლისო წიგნი (1889 წ.), ისიც მრავალის შეცდომებით სავსე. რაც შეეხება წინად დაბეჭდილ წიგნებს, ამათში ბევრი არ გავრცელებულა სასწავლებლებსა, სამღვდელოებასა და ხალხში.

მოვიყვანთ ცნობებს ამ საგნის შესახებ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ანგარიშებიდამ (1885, 1886, 1887, 1888 და 1889 წწ.). აღნიშნულ საზოგადოებას გაუვრცელებია 1885 წელს მხოლოდ ორი ქართული ლაბადება (стр. 112 Отчетъ общества распр. прав. хр. на Кавказѣ 1885 г.) 1886 წელს ზაქათალის მაზრისა და ფშავ-ხევსურეთის სკოლებისთვის, სადაც ქათველი ახალგაზრდობა სწავლობს, საზოგადოებას გაუგზავნია ქართული წიგნაკები, დაბეჭდილი სიონის ტაძართან დაარსებულ ყოვლად წმიდის ღვთის მშობელის ძმობის მიერ. ეს წიგნაკები ძმობას, აღნიშნულთ გარდა, სხვა სკოლებისთვისაც უგზავნია, სადაც

გვსებიათ. ამათთანა გაზეთებს მეთაურად უდგნენ და წინ უძღვებოდნენ გაზ. „Гражданинъ"-ი და „Новое Время". დანარჩენი გაზეთები ან არ თანაუგრძნობდნენ ზემოხსენებულ გაზეთების სიძულვილს ებრაელთა მიმართ, ან ხმას არ იღებდნენ და განზედ იდგნენ. მათ შორის იყო აგრეთვე გაზ. „Биржевыя Вѣдомости". ამას წინად „Новое Время"-მ ამ გაზეთს ებრაული გაზეთი დაუძახა. რედაქციას გული გახეთქია, მართალი არავის ეგონოსო, და აი ახირებულს პასუხს აძლევს:

„ჩვენი გაზეთი, როგორც მკითხველებიც დარწმუნდებოდნენ, ერიდებოდა შეჰხებოდა პირადად ვისმე და ვერძო პოლემიკა დაეწყო. ამას გარდა, იგი ყურადღებას არ აქცევდა აგრეთვე სხვა-და-სხვა გაზეთის აზრს თავისს შესახებ, რადგან უმეტესი მათგანი ან მართებულებას მოკლებული იყო და ან მტკნარი სიცრუე. ხოლო რადგან „Новое Время" თავისს წერილში აცხადებს, რომ „Бирж. Вѣд." ებრაული გაზეთიაო, ამიტომ ვაცხადებთ, რომ იმათ შორის, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ჩვენს გაზეთში და რომელნიც სამუდამო თანამშრომლები არიან, ანგარიშს რომ არც რედაქტორი და გამომცემელი გამოვაკლოთ, არც ერთი ებრაელი არ არის და რომ ებრაელების ავ-კარგიანობის შესახებ წერა ჩვენს პროგრამაში არა გვაქვს აღნიშნული და ამიტომ არც არასა ვწერთ.

ახირებული თავის გამართლება და ბოდიში თუ გინდათ, ეს არის, აი! ან ნეტა საბოდიშო რა ჰქონდა გაზეთს. განა დიდი მამაკვდინებელი ცოდვა იქნებოდა, ებრაელი რომ ჰყოლოდა მუდმივ თანამშრომლად?!

◆◆

## რუსეთი

„Русская Жизнь"-ის სიტყვით, ამ ქამად სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში იმის შესახებ არის სჯა და ლაპარაკი, რომ რუსეთში სამკურნალო მცენარეთა გაშენება სცადონ. რუსეთის ზოგიერთი ადგილები, როგორც მაგალითად კავკასია და ყირიმი, ჰავითა და ნიადაგით სამკურნალო მცენარეთა გასაშენებლად გამოდგება, მაგრამ აქამდე არავის ფიქრად არ მოსვლია, რომ ამ სასარგებლო საქმისათვის ხელი მოეკიდა. გერმანიაში, სადაც ჰავაც და ნიადაგიც ბევრით უკან ჩამორჩება კავკასიასა და ყირიმის ჰავასა და ნიადაგს, დიდი ხანია, რაც სამკურნალო მცენარეთა გაშენებას მისდევენ და ამ საქმით დიდი სარფაკა აქვთ. იქ ორი დღიური მიწა 100 მ. მოსავლს იძლევა. წარსულს წელს სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გაგზავნა გერმანიაში რამდენიმე კაცი და დაავალა, რომ ადგილობრივ შეესწავლეთ, თუ რა წესით სწარმოებს გერმანიაში სამკურნალო მცენარეთა გაშენების საქმე. ახლა ესენი უკვე დაბრუნდნენ რუსეთში და, უეჭველია, ამ ზაფხულზე საქმეს შეუდგებიან. ამ ნაირად ახლო ხანად, თუ, რასაკვირველია, ამ საქმემ სასურველი ნაყოფი გამოიღო, რუსეთის მეაფთიაქეთ სამკურნალო მცენარეთა შეძენა ერთი-ორად გაუადვილდება და გაუიაფდება.

— სახელმწიფო საბჭოში ამ ქამად დიდის გულ-მოდგინებით მუშაობენ აწინდელის საქალაქო დებულებათა შეცვლის პროექტის განსახილველად ასე, რომ პროექტი ჩქარა იქნება დამტკიცებულიო. (Нов. Вр.")

◆◆

## უცხოეთი

ავსტრი ვენგრია. მლადო-ჩეხებს შეუტანიათ რეიხსრატში შემდეგი მოხსენება:

„შემოვდივართ რა კვლავ რეიხსრატის დარბაზში, ჩვენი ჩეხიის ერის წარმომადგენელთ ბოგემიის სამეფოში, სამღვთო ვალად მიგვაჩნია გამოვაცხადოთ, რომ შეურყეველის სიმტკიცით ვგრძნოთ, რა უფლებაც აქვს იმ ერს, რომლის წარმომადგენლობაც ჩვენ გვაკისრნია. ამასთანავე მოვალეობად დაგვისახავს გამოვაცხადოთ ეხლავ, რომ ჩვენის შემოსვლით რეიხსრატში სრულიადაც არ უარვყოფთ და არც ხელს ვიღებთ მრავალჯერ მეფეთა დაგვირგვინების ფიცის სიებით დამტკიცებული და მრავალის შეწყნარებულის სახელმწიფო ოქმ-სიგელებით შემოწმებულ ბოჰემიის გვირგვინსა და სახელმწიფო უფლებაზე. კერძოდ ეს უფლება დამტკიცებულ და შემოწმებულ იქმნა იმპერატორის უმაღლესის რესკრიპტით, რომელიც გამოცემულ იქმნა 12 სექტემბერს 1871 წელს. ვაცხადებთ რომ ყოველის ჩვენის ძალითა და ღონით ვეცდებით, რათა ასრულებულ და ხორც-შესხმულ საქმედ გადაიქცეს იგი სახელმწიფო უფლება ბოჰემიისა და დამკვიდრდეს ნამდვილი სამეფო ბოჰემიისა. ამ აზრით თანა-მოზიარენი ვართ ჩვენც იმ მოხსენებისა, რომელიც ბოჰემიის დეპუტატებმა წარუდგინეს რეიხსრატს 23 სექტემბერს 1879 წელს. ჩვენის მხრით მზადა ვართ მხნედ და თავ-დაუზოგველად ვიღვაწოთ რეიხსრატში საერთო მონარქიის საკეთილდღეოდ და მის ყველა ერთათვის, რადგან ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ პატიოსნებით დაცვა აღთქმულის, შეწყნარებულის და ვადა არ გასასვლის ჩვენის უფლებისა, რომ ბოჰემიასაც ავსტრო-ვენგრიასებური დამოუკიდებლობა ჰქონდეს და თავისი საკუთარი სამეფო გვირგვინი, არა თუ მარტო ამ გვირგვინს მოუტანს კეთილ-დღეობას, არამედ ჩვენს საერთო ავსტრიის მონარქიასაც გააბედნიერებს."

ხელი უწერიათ ამ მოხსენებაზე 36 მლადო ჩეხების დეპუტატს. სტარო-ჩეხები დასცინიან ამაზე, როცა ჩვენც ეგრე მოვიქეცით რეიხსრატში, თქვენ მასხარად აგვიგდეთ და იძახდით: ე მაგისთანა ცარიელი და ლიტონი მანიფესტაციები, ქაღალდზე დაწერით გამოცხადებული, ორ გროშადაც არა ჰღირსო.

იტალია. სამთა კავშირის განახლებასა და ან არ-განახლებაში-კი არ არის საქმეო, — უთქვამს მარკიზ დერუდინის, იტალიის ახლანდელს მთავარ მინისტრს, — იტალიისთვის საქმე უფრო იმაშია, ინგლისი როგორ მოიქცევაო. სამთა-კავშირი ისე იქცევადა მომეტებულ ნაწილად, როგორც ინგლისის სურვილი იყო, რომ ეს სამთა კავშირი მოქცეულიყო. კერძოდ იტალიის ინტერესი ის არის, რომ ინგლისთან ჰქონდეს მეგობრობა და კარგი ერთმანერთობა. ძნელად წარმოსადგენია, რომ ინგლისმა გულ გრილად დაიჭიროს თავი, ეინიცობაა, რუსეთმა და საფრანგეთმა ომი დაუწყოს გერმანიასა და ავსტრიას. ვსთქვათ, რომ მოხდეს ომი და სამთა კავშირი-კი ახალის ვადით შეკრული არ არის. იტალიას შეუძლიან გულ-დამშვიდებით დაიჭიროს მხარე ინგლისისა და მაშასადამე გერმანიასა და ავსტრიისაც. ხოლო თუ რუსეთი არ გაერია ომში, ინგლისიც ამის გამო თავისთვის გაჩერდა, მაშინ იტალიასაც არავითარი საბუთი არ ექმნება ხელი გაანძრიოს. როგორც ვიცით, სამთა კავშირის პირობის დამდებთ გადაწყვეტილი აქვთ დაეხმარონ ერთმანეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეინიცობაა ერთ-ერთს მათგანს დაესხა თავს რომელიმე მეზობლად მყოფი დიდი სახელმწიფო. ამიტომ, ავსტრია რომ რუსეთს დაესხას თავს, ან კიდევ გერმანია — საფრანგეთს, ეს კიდევ იმისი საბუთი არ იქნება, ვითომ იტალია ვალდებულია უთუოდ თითონაც გაერიოს ომში. ცხადია, ამისთანა შემთხვევაში იტალია განაპირდება და შორიდამ დაუწყებს სეირს ცქერასაო.

საზოგადოდ-კი, რუდინის აზრით, სამთა-კავშირი უფრო მტრის თავ-დასხმის მოსაგერებლად არის დაარსებულ და არა მტრის შესატევად. ეხლანდელს ყოფაში მაგ კავშირის წყალობით უფრო ადვილია დაცვა მშვიდობიანობისა, ვიდრე სხვა რომელისამე ღონის ძიებითაო.

◆◆

## წვრილი ამბები

თეთრ ქუდიანი მეეტლენი. ბერლინში ამ ახლო ხანად თეთრ ქუდიანი მეეტლენი იქნებიან, რომელთაც განსაკუთრებითი უფლება და უპირატესობა მიეცემათ. თეთრი ქუდი ამიერიდგან უნდა ატარონ მკურნალთა მეეტლებმა, რომელთაც ქალაქის ქუჩებში ჩქარი სიარული არას შემთხვევაში არ დაუშლებათ, რადგან ავადმყოფის სიცოცხლე ხშირად მკურნალის ადრე თუ გვიან მისვლაზეა დამოკიდებული.

ბისმარკის მეგობრობა. ოდესმე სახელ-განთქმული და ძლიერი ბისმარკი დღეს ბედს ისე დაუქვეითებია და დაუჩიავებია, რომ იმისი მეგობრობა გერმანიის მოხელეთათვის საშიში და სახიფათო გამხდარა. პირველს აპრილს გერმანიის იმპერატორის სასახლის კამერჰერმა ფონ-რეიკმა ნაკანცლერალის მილოცვის წერილი მიუძღვნა, რის სამაგიეროდაც ბისმარკმა თავისი ფოტოგრაფიული სურათი უფეშქაშა და ზედ საჭირო სიტყვები საკუთარის ხელით წააწერა. საუბედუროდ ფონ-რეიკმა ასეთი საჩუქრის მიღება ბისმარკისაგან დიდ რამედ მიიჩნია და ამის გამო, სადაც იყო, კვეხნაც-კი წამოსცდა. ეს ამბავი იმპერატორის ყურამდე მიაღწია და ბისმარკის წყალობით გაკადნიერებული ფონ-რეიკი იძულებული გახდა, დათხოვნის ქაღალდი შეეტანა და თავის თანამდებობას გამოსალმებოდა.

მოვალეა თუ არა? ამას წინად პარიჟელს მეღვინესთან მივიდა ერთი დარბაისელი ახალგაზდა და გამოუცხადა მეღვინეს, რომ ლონდონში განწესებულის საფრანგეთის ელჩის ვადინგტონის ნათლული ვარ და ამდენი და ამდენი შამპანიური ღვინო უნდა გაუგზავნოთ იქ მის აღმატებულებასაო, მაგრამ რამდენიმე პროცენტი მეც უნდა მიწილადოთო. მეღვინეს ეს ამბავი დიდად გაუხარდა და იმ დღიდგან დიდ-ძალი სხვა-და-სხვა გვარი შამპანიური ღვინო გაუგზავნა

---

მოსწავლეებს ქართული ენა სცოდნიათ.

ერთის სიტყვით, ჟურნალებისა და დასახელებულ წიგნაკებისათვის საანგარიშო წელს დაუხარჯავს 57 მანეთი, თუმცა ანგარიშიდამ არა სჩანს, თუ ეს ჟურნალ-წიგნები რომელ ენაზედ არის დაბეჭდილი (Отчетъ за 1886 г. стр. 15, 201). 1887 წელს დაურიგებია ქართველ მოწაფეთათვის ზემორე აღნიშნულივე ძმობისაგან დაბეჭდილი წიგნაკები 50 მან. (Отчетъ за 1887 г. стр. 15). 1888 წელს საზოგადოებას შეუსყიდია შემდეგი საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნები, თუმცა, საუბედუროდ არ არის მოხსენებული ანგარიშში, თუ რომელ ენაზედ, რაიცა უფრო საჭირო იყო ჩვენთვის ამ შემთხვევაში: სახარება 13, სამოციქულო 18, კონდაკი 4, დავითნი 3, კურთხევანი 13, ჟამნი 10, მარხვანი 10, სადღესასწაულო 8, პარაკლიტონი 14, საპარაკლისო წიგნი 3, ლოცვანი 18

ერთის სიტყვით, ამისთანა წიგნებზედ, რომელიც, როგორც ვფიქრობთ, ქართულ ენაზედ არ იქმნებოდა, საზოგადოებას დაუხარჯავს 200 მანეთი (Отчетъ за 1888 г. стр. 27, 28, 197). 1889 წელს საზოგადოებას გაუვრცელებია კონდაკი 4, სამ-საგალობელის, ლოცვანი 2. ამავე დროს საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნებზედ დაუხარჯავს 200 მანეთი, თუმცა არც ახლა არის აღნიშნული, თუ რომელს ენაზედ იყო დაბეჭდილი აღნიშნული წიგნები (Отчетъ за 1889 г. стр. 37, 131).

ნათქვამიდამ მკითხველი ნათლად ჰხედავს, თუ ვითარი ყურადღება აქვს მიქცეული განახლებულ საზოგადოებისაგან საღმრთო და საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნების ბეჭდვას ქართულს ენაზედ. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას 1885 წლამდე საფუძველი ჰქონდა მიზეზად ამისა დაესახელებინა უსახსრობა, უფულობა, რადგან აღნიშნულ დრომდე საზოგადოებას ხარჯი ყოველ წლობით მეტი ჰქონდა შემოსავალზედ. 1885 წელს საზოგადოება უსახსრობის გამო კინაღამ გაუქმდა, რადგან 99,334 მან. ვალი ჰქონდა (Отчетъ общества за 1885 г. стр 3 14).

1885 წლიდამ ახალი ხანა დაუდგა საზოგადოებას. შემოსავლის წყაროც საიმედო გამოუჩნდა, რადგან ყოველ წლობით, გარდა განძანაკის შემოსავლისა ეკკლესიებიდამ, საწევრო ფულისა და კერძო შემოწირულებათა, საზოგადოებას ეძლევა ხაზინიდამ 90 ათასი მანეთი. ამ ხუთის წლის განმავლობაში (1885–1889) საზოგადოება ისე გამაგრდა წელში, რომ ყველა საჭირო ხარჯის გადახდის შემდეგ 1 იანვრისათვის 1890 წლისა დარჩა ნაღდ-ფულად 28,423 მან. (Отчетъ общ. за 1889 г. стр. 144). მაშასადამე საშუალების მხრით საზოგადოებას ამის შემდეგ თვალ-საჩინო დაბრკოლება არ ექმნება, რაც უნდა სასარგებლო საქმე დაიწყოს. საფიქრებელი და საზრუნველი საზოგადოებისათვის მხოლოდ ის უნდა იყოს, რათა ეს საშუალება უსაჭიროესს საქმეს მოახმაროს, ისეთს საქმეს, რომელსაც შესაფერი ნაყოფის გამოღება შეეძლოს ადგილობრივ საჭიროებათა მიხედულობით. საზოგადოების განახლება მით უფრო საყურადღებოა, რომ ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ უკეთ იცის საექსარხოსოს ყველა კუთხის საჭიროება და ამის მიხედულებით დახმარება გაჭირვებულთა მდგომარეობას და ხელის შეწყობას. ერთგვარი ნივთიერი გაუკეთესება დიდს შეღავათს მისცემს ადგილობრივ სასულიერო მთავრობას, უკეთუ წინდახედვით და ადგილობრივ საჭიროებათა მიხედულობით განაწილდება ეს საშუალება.

რომელი-ღა არის მთავრობისთვის საყურადღებო ადგილობრივი საჭიროება? ადგილობრივ გარემოებათა მიხედულობით, საჭიროა, რათა ქართული ენა შეგნებით იცოდნენ ზნეობისა და სარწმუნოების მქადაგებელთ და ეგრეთვე იაფად იყიდებოდეს საღმრთო და საეკკლესიო წიგნები, ამავე ენაზე დაბეჭდილი. არ გვეგულება ახლა ჩვენში იმისთანა, რომელიც მთელის თავის არსებით არა ჰგრძნობდეს ამის აუცილებელ საჭიროებას. ჩვენ ეს დიდი აზრი იმდენად სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ამაზედ სიტყვის გავრცელებას მკითხველი საჭიროდაც არ დაინახავს. ხოლო რაც შეეხება ქართულის საღმრთო - წიგნების ბეჭდვასა და გაიაფებას, ამის შესახებაც კი არ შეგვიძლიან, რომ ორიოდე სიტყვით არ გამოველაპარაკოთ მკითხველს. მაგრამ როდესაც საღმრთო წიგნების ბეჭდვაზედ ვიწყებ საუბარს, ყოველთვის თვალ წინ მეხატება სურათი ყველასგან ცნობილის ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოებისა, რომელსაც ჩვენში ჯეროვანი ყურადღება არავინ მიაქცია, საზოგადოდ, და არ მიაქცია აგრეთვე თვით ძველებულ წესზედ მომქმედმა „ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ კავკასიაში".

ამგვარის უყურადღებობით აიხსნება, სხვათა შორის, სიძვირე ახლად დაბეჭდილის მხედრულის „დაბადებისა." წიგნების გაიაფება უმეტესად იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა მოხერხებით და ხალისით ეპყრობიან წიგნების ბეჭდვას ისინი, ვისაც ეს საქმე აქვს მინდობილი.

ჩვენის მოსაზრების დასასაბუთებლად საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ ჩვენს მკითხველს მოწყობილობა, განზრახვა და ურთიერთობა ადგილობრივ სასულიერო მთავრობასთან საღმრთო წიგნების ბეჭდვის გამო ქართულს ენაზედ გამოჩენილის საბიბლიო საზოგადოებისა, რათა თვით მკითხველი თავის-თავად დარწმუნდეს, რომ წიგნების გაიაფებისთვის საჭირო არის არა ადგილის ცვლა, როგორც, სამჯობინაროდ დაუნახავს ერთს იმერეთის დეკანოზს, არამედ მოხერხებული ეკონომიური მოქმედება რომლისამე დაწესებულებისა. ამისთვის მეტად არ მიგვაჩნია ორიოდე ცნობა გადავსცეთ ჩვენს მკითხველს ამ საზოგადოების დაფუძნებისა; განზრახვისა და მოქმედების გამო, როგორც უცხო ქვეყნებში, ეგრეთვე ჩვენში.

(შემდეგი იქნება)

ელჩს ლონდონში და მასთან ღვინის დამჭკნარებს ახალგაზრდასაც ხვდრს პროცენტს არ აკლებდა. დასასრულ, როცა გაგზავნილის ღვინის ფასი რამდენსამე ათს ფრანკზე ავიდა, მეღვინემ მის აღმატებულებას ანგარიში წარუდგინა, მაგრამ ელჩი ანგარიშის მიღებაზე ფრიად განცვიფრდა.

— არაოდეს და არავისთვის ღვინო არ დამიკვეთია — სთქვა კადინგტონმა, — აგრეთვე არც ნათლული მყოლია და მართალია, შამპანიურს ღვინოს ვსვამდი და სტუმრებსაც ვსმევდი, მაგრამ მეგონა, რომ ჩემი მეგობრები მიგზავნიან საფრანგეთიდამ-მეთქი. ახლა საქმე ის არის, მოვალეა თუ არა კადინგტონი შამპანიური ღვინის ფასი მისცეს მეღვინეს თუ არა. მართალია, ღვინო მას არ დაუკვეთია, მაგრამ ამ ღვინით რომ მეჭცეოდა და ქეიფობდა — ეს ხომ ცხადია.

ახირებული ანდერძი. ჰამბურგში, როგორც გაზეთი „Italie“ ამბობს, — ამას წინად ერთი მდიდარი ვაჭარი გარდაიცვალა, რომელმაც ერთს ქვრივს 12,000 მარკა (6,000 მანეთი) უანდერძა და შემდეგი შინაარსის წერილი დაუტოვა: „ამ ოც-და-ათის წლის წინად მე თქვენ გთხოვეთ, რომ ცოლად გამომყევით-მეთქი, მაგრამ უარი მივიღე. ამ უარის გამო დიდხანს მშვიდად და აუშფოთებლად ვიცხოვრე. ეს მშვიდი და დაწყნარებული ცხოვრება მომანიჭეთ თქვენ და მეც ვალად ვრაცხ ამ სიკეთისათვის სასყიდელი მოგცეთ. მიანდერძებია თქვენთვის 12,000 მარკა“.

შემოსავლიანი გაზეთი. ამ დღეებში პარიჟში გაზეთ „Petit Journal“-ის გამომცემელთ საზოგადო კრება ჰქონდათ. უნდა დაემტკიცებინათ წარსული 1890 წლის ანგარიში და, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებითა და სიხარულით დაამტკიცეს, რადგანაც აღმოჩნდა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში გაზეთს 5,144,494 ფრანკი (1,283,123½ მ.) წმიდა მოგება დარჩენია.

---

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

### 12 აპრილი

გორი. თავად-აზნაურთა სამაზრო კრებამ გადასწყვიტა: დავაარსოთ სტიპენდია დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს სულის სახსოვრადო; ვსთხოვოთ მთავრობას, რომ 50 ვაკანსია იყოს კორპუსში ტფილისის გუბერნიის იმ თავად-აზნაურთა შვილებისათვის, რომელნიც სამხედრო სამსახურში არა ყოფილანო; ვსთხოვოთ აგრეთვე, რომ გამართულ იქმნას სამეურნეო სკოლაო.

### 11 აპრილი

პეტერბურგი. 9 აპრილს მიღებულის ცნობიდგან სჩანს, რომ დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის უმფროსის ავადმყოფობა თან და თან გამძიერებულა. საჭმელს ძალიან ცოტას სჭამს, ძილი მოუსვენარი აქვს, მაჯის ცემა 100, ხოლო სიცხე 37,8.

6 აპრილს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმცროსი, ხოლო გუშინ დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის უფროსის შტალ-მეისტერი ანდრეევი ყირიმს გაემგზავრნენ.

„Новое Время“-ს გაუგონია, რომ განსაკუთრებით კომისია შესდგა და მიენდო გადასინჯოს განონ-მდებლობის ის ნაწილი, რომლითაც უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ უძრავ ქონებათა შეძენით უფლება ეძლევათო.

„С.-Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ მოიწონა ახალი პროექტი საერობო გარდასახადისა და იმის წესდება, თუ რა გვარად უნდა იქნეს დაფასებული ქალაქის და სხვა ქონებანი, და შემოღებულ იქმნება მაშინ, როცა ერობის ახალს წესდებულებას შემოიღებენ.

მტკივრი. აქ მოვიდნენ რუსის აფიცერნი თოფ-იარაღის ქარხნის დასათვალიერებლად.

დრეზდენი. გამოვიდა უსახელო ავტორის-მიერ შეთხზული წიგნაკი, რომელიც, ეჭვი არ არის, ბისმარკის შეგონებით არის დაწერილი. წიგნაკში ავსტრია ძალიან არის გაკიცხული და ავტორი ჰქადაგებს, რომ აუცილებლად საჭიროა რუსეთს დაუახლოვდეთო.

რომი. დღეს დილით თოფის წამლის საწყობში წამალმა იფეთქა და მთელს ქალაქს შიშის ზარი დასცა. დაშავებულთა რიცხვი 200-მდეა. ამ უბედურების მიზეზის გამოსაკვლევად გამოძიებაა დანიშნული.

#### პეტერბურგის ბირჟა, 9 აპრილი.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაურიგდნენ. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 73 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 134 62 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 03 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 242 |
| — მეორისა . . . . | — „ | — „ | 223 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 216½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

---

## სამოსამართლო პალატა

სხვათა-შორის შემდეგი საქმეებია გასარჩევად დანიშნული:

### 16 აპრილს

ა) საპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებისა გამო კაზიმირ კურსკისა, რომელიც უჩივის სურამის გვირაბის გასაყვანად დაარსებულს გამგეობას 10,000 მანათს.

ბ) საპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ თ.-ვ. გახტანგ ორბელიანის ქვრივის საუგარელიძისა, იმის გამო, რომ ვლადიმერ კამლიუხინი ედავება გარდაცვალებულს ვ. ორბელიანის მემკვიდრეებს ფულსა და ჯარიმას გირავნობის ქაღალდით.

გ) კერძო საჩივარი თომა საიფოვისა იმის გამო, რომ ტფილისის ოლქის სასამართლო ჩემს საქმეს შეუძლებლობის შესახებს აგვიანებსო.

დ) კერძო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ ივანე მაისურაძისა, რომელიც სჩივის საიფოვის ფულების განაწილების გამო მოვალეთა შორის.

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

---

# განცხადებანი

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## ნაკვთები

დ. ერისთავისა

ფასი 50 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Кахетія . . . . . . | „ | 30 |
| Тифлисъ и его окрестности . . : . . . | „ | 40 |
| Кавказскій стѣнной календарь. რუსულ-ქართულ-სომხურ-თათრულ ენებზე | 1 | „ |
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . . | „ | 25 |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით. . . | 10 მ. — კ. | 6 თვეით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . . | „ | 30 |
| 2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა. | „ | 30 |
| 3) ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . . . . | „ | 5 |
| 4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 5) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . . | „ | 75 |
| 6) თხზულებანი ი. ღვითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . . | „ | 80 |
| 7) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . . | 1 | 25 |
| 8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . . . | „ | 15 |
| 9) „სურამის ციხე“ გამოც. პესამე გრ. ჩარკვიანისა . . | „ | 25 |
| 10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| 11) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . . . | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . . | „ | 40 |
| 12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . | „ | 30 |
| 13) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . . | „ | 15 |
| 14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . | 1 | „ |
| 15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . . | „ | 50 |
| 16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . | „ | 50 |
| 17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . | „ | 60 |
| 18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. | „ | 15 |
| 19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. | 1 | „ |
| 20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . | 3 | 50 |
| 21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . | „ | 75 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა. თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . | „ | 80 |
| 23) იგივე უყდო . . . . . . . . . . . . . | „ | 60 |
| 24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . | „ | 70 |
| 25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . | „ | 20 |
| 27) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . | „ | 10 |
| 29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . | „ | 20 |
| 30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| 31) ქანნა — დარკ . . . . . . . . . . . . | „ | 5 |
| 32) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . . | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: *Тифлисъ*. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Дов. цен, Тифлисъ, 12-го Апрѣля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.